სოლომონ ლებანიძე[1]

ოსური ნაციონალური პროექტის იმპერიული ვერსია - ახალი ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ (2004-2013 წ.წ.)

ყოველ ერს გააჩნია წარსულის, აწმყოს და მომავლის აღქმა, ერის მომავლის ჭვრეტა ნაციონალური იდეის ჩამოყალიბებით გამოიხატება, რომლის რეალიზაცია თავის მხრივ ნაციონალური პროექტის მეშვეობით ხდება. თანამედროვე ოსური ნაციონალური პროექტი, თავისი ანტიქართული არსით, რეალურად რუსული დიდი იმპერიული პროექტის ნაწილს წარმოადგენს.

ოსური სეპარატისტული პროექტის რეალიზაციის ყველაზე პროვოკაციული გამოვლინება 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომი პერიოდია (2009-2012 წ.წ.), როდესაც ცხინვალის რეგიონის და ახალგორის მუნიციპალიტეტის მიტაცების შემდეგ, ცხინვალის სეპარატისტმა მესვეურებმა, ოსურმა პოლიტიკურმა და აკადემიურმა წრეებმა საქართველოს სხვა ტერიტორიების „სამხრეთ ოსეთისთვის“ მიერთებაზე დაიწყეს საუბარი.

ოსური ნაციონალური პროექტის ისტორიული კომპონენტის მიხედვით, ოსები კავკასიის ავტოქტონები და ალანთა, სკვითთა და სარმატთა ტომების პირდაპირი შთამომავლები არიან. ოსი ხალხის ისტორიის „ოსური ინტერპრეტაცია“ თვისობრივად შეუთავსებელია მეზობელი ერების - ყარაჩაი-ბალყარელების და ინგუშების ნაციონალურ პროექტებთან.

ჩრდილოეთ ოსეთის - ალანიის და ცხინვალის რეგიონის პოლიტიკურ დისკურსში აქტიურად განიხილება ე.წ. ორი ოსეთის გაერთიანების საკითხი. ოსი და რუსი პოლიტიკოსები და ექსპერტები „ორი ოსეთის“ გაერთიანებას გარდაუვალ პროცესად მიიჩნევენ. ამ პროცესის უკანასკნელი გამოვლინება 2017 წლის აპრილში ცხინვალის რეგიონში ჩატარებული ე.წ. რეფერენდუმია, რომლის საკითხი ე.წ. სამხეთ ოსეთ-

---

[1] ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ისთვის „ალანიის სახელმწიფოს“ სახელის მინიჭება იყო.დღის წესრიგში დგება ოსი ერის მიერ ახალი ნაციონალური პროექტის შექმნა, რომელიც ქართულ სახელმწიფოსთან და მეზობელი ხალხების ნაციონალური პროექტებთან ჰარმონიულად იარსებებს.

საკვანძო სიტყვები: ოსური ნაციონალური პროექტი; ალანია; შიდა ქართლი; ცხინვალის რეგიონი; ქართულ-ოსური კონფლიქტი; რუსეთი.

შესავალი

პოლიტიკურ მეცნიერებაში ტერმინის „ერი“ (იგივე „ნაცია“) რამდენიმე განმარტება არსებობს. ერთის მხრივ ნაცია ეთნიკურ-ლინგვისტურ ერთობას გულისხმობს, მეორე მხრივ კი ამა თუ იმ სახელმწიფოსადმი კუთვნებულობას (მოქალაქეობას - nationality). ჩვენს შემთხვევაში ოსურ ნაციონალურ პროექტში „ნაციონალობას“, როგორც ეთნო-ლინგვისტური ერთობის აღმნიშვნელ ტერმინს ვგულისხმობთ.

ყოველ ერს - ნაციას, გააჩნია თავისი ცნობიერება, აღქმა წარსულის, აწმყოსი და მომავლის. სწორედ ეს აღქმა აყალიბებს ეროვნულ (ნაციონალურ) იდეას, რომლის ხორცშესხმა ნაციონალური პროექტის სახით არის შესაძლებელი. ნაციონალური პროექტის ჩამოყალიბებისთვის იდეების და პოლიტიკური პროგრამების გარდა, აქტიურად ხდება ისტორიის მითოლოგიზაცია, ისტორიული მოვლენების აბსოლუტის დონეზე აყვანა და სხვა. ერს შეიძლება განვითარების რამდენიმე ალტერნატიული პროექტი ჰქონდეს.

დღეს რუსეთის ფედერაციაში აქტიურ ფაზაში შედის რუსული პოლიტიკური ნაციის ჩამოყალიბების პროცესი.[2] რუსეთის ფედერაციაში შემავალი ერების ნაციონალური იდეის რეალიზაცია - ეროვნული პროექტის მეშვეობით, რუსულ პოლიტიკურ დისკურ-

[22] Гранин, Юрий.От самосознания к идентичности. Проект "Российская нация" должен быть завершен. Независимая газета (29.03.2017). < http://www.ng.ru/ideas/2017-03-29/11_6960_nacia.html> (2017, 18 September)

სში მხოლოდ და მხოლოდ ერთიანი რუსული იმპერიული პროექ-ტის მეშვეობით განიხილება.

აღსანიშნავია, რომ ოსური ნაციონალური პროექტის ანტიქარ-თულ, ქართულ სახელმწიფოებრიობასთან შეუთავსებელ კატეგო-რიად ჩამოყალიბება საბჭოთა იმპერიის წიაღში მოხდა. 1990-იან წლებში ოსურმა სეპარატისტულმა პროექტმა ძირითადი კონტურე-ბი შეიძინა, 2008 წლის აგვისტოს ომის წინ აშკარა გამომწვევი სახე მიიღო, ხოლო აგვისტოს ომიდან შემდგომი 2-3 წლის განმავლობაში კი ექსპანსიურობით ხასიათდებოდა.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ოს-ური სეპარატისტული მოძრაობის ტერიტორიული ამბიციები უფ-რო გაიზარდა. კოკოითის მთავრობამ დაიწყო აქტიური საუბარი ე.წ. ”თრიალეთის ოსეთისა” და თრუსოს ხეობის მიერთებაზე. ეს პრო-ცესები საფრთხის შემცველია საქართველოს განვითარებისა და სტაბილურობისთვის.

ამ პროექტის რეალიზაციისთვის მეტად წარმატებით ხდება ისტორიის ინსტრუმენტალიზაცია. ქვემოთ განვიხილავთ ოსური ნაციონალური პროექტის ძირითად მიმართულებებსა და ცხინვა-ლის საოკუპაციო რეჟიმის ახალ ტერიტორიულ პრეტენზიებს სა-ქართველოს მიმართ.

ოსური ნაციონალური პროექტი დაფუძნებულია ისტორიულ თეზისზე, რომლის მიხედვითაც ოსი ხალხი არის პირდაპირი მემ-კვიდრე სკვითების, სარმატების და ალანებისა. ისტორიული სკვი-თეთი, სარმატეთი თუ ალანია მრავალგზის უფრო დიდ ტერიტო-რიას მოიცავდა, ვიდრე თანამედროვე ოსეთის-ალანიის რესპუბლი-კა. სწორედ ამ თეზისის საფუძველზე, ოსური პროექტის ავტორები სამართლიანად მიიჩნევენ მეზობელი ხალხების მიმართ ტერიტო-რიულ პრეტენზიებს.

ოსური პროექტის თანამედროვე ვერსია თავისებურ გეოპ-ოლიტიკურ მუქარას წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოებ-რიობისთვის. აღნიშნული პროექტი კარდინალურად უპირისპირ-დება კავკასიის ხალხების - ინგუშების, ბალყარელების და ყარაჩა-ელების, აგრეთვე ჩერქეზების ეროვნული პროექტების ძირითად

პოსტულატებს, როგორც ტერიტორიულ, ისე იდეოლოგიურ და კონცეპტუალურ დონეზე. სამწუხაროდ, აღნიშნული პროექტის რეალიზაციის მცდელობა მეტ-ნაკლები ინტენსიობით წარმატებით მიმდინარეობს, როგორც საქართველოს, ისე ინგუშეთის მიმართულებითაც.

ოსური აკადემიური წრეების პრეტენზიები მეზობელი ხალხების კულტურისა და ისტორიის მიმართ

ოსი ისტორიკოსების აზრით სკვითური ტომები წარმატებით ითვისებდნენ კავკასიონის ორივე მხარეს მიმდებარე ტერიტორიებს, რამაც განაპირობა სკვითური მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის არსებობა მდინარე მტკვრის ჩრდილოეთით და მდინარე არაგვის დასავლეთით. ოსი ისტორიკოსების მტკიცებით, კავკასიონის ქედი წარმოადგენდა ალანური ტომების დასახლების არეალის შიდა ქედს ანუ არ გვევლინებოდა ოსური და ქართული მოსახლეობის განსახლების არეალის საზღვრად. ოსი ისტორიკოსების აზრით, ყობანური კულტურა ირანული წარმოშობისაა და მისი არეალი მაიცავს დღევანდელი ჩრდილო ოსეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიასაც.[3]

საინტერესოა ის გარემოება, რომ ეთნონიმზე "ალანი" და "ალანია" გარკვეულ პრეტენზიებს, ოსების გარდა, აცხადებენ ბალყარელ-ყარაჩაელებიც, ინგუშებიც და ჩერქეზებიც.[4] [5]

ალანებმა სერიოზული ისტორიული კვალი დატოვეს შუა ვოლგისპირეთში, ეს ტერიტორიები თურქული მოდგმის ტომებით,

---

[3] Блиев, М.М. Бзаров, Р.С. (2006). История Осетии § 5. Скифы и Кавказ . *http://iratta.com/*.<http://iratta.com/2007/04/08/_5_skify_i_kavkaz.html> (2011, February 7)

[4]Мизиев, И. (2004). История карачаево-балкарского народа с древнейших времен до присоединения к России. Глава 6. Аланы и Асы-предки балкарцев и карачаевцев. *Старые донские дороги Евграфа Савельева*. <http://passion-don.org/kazak/miziev-6.html>(2011, February 7)

[5]Тимерханов, Юсуп.Когда "мифы" становятся реальностью. *http://www.ingush.ru/index.asp* <http://www.ingush.ru/his7.asp>(2011, February 7)

უფრო ხაზარებით იყო დასახლებული. ოფიციალურ ისტორიულ მეცნიერებაში სკვითების-ალანების-ჰუნების-ხაზარების მემკვიდრეობითი ჯაჭვი თურქულ სამყაროსთან ასოცირდება. აღნიშნული ტერიტორიების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა დღესაც არსებითად არ არის შეცვლილი და თურქული მოდგმის ხალხებითაა წარმოდგენილი (უდმურტები, თათრები, ნოღაელები და სხვ.). ოსური თეორია კი ტენდენციურად ამტკიცებს, რომ ალანები ოსურენოვანი ტომი იყო, თუმცა ის ფაქტი, რომ სკვითები და სარმატები, ალანების მსგავსად, აგრეთვე ირანულენოვანი ტომები იყვნენ ვერ დასტურდება. ალანები კი სკვითების და სარმატების პირდაპირ მემკვიდრეებად და შთამომავლებად მიიჩნევიან.[6]

ოსი ისტორიკოსი ბზაროვი აღნიშნავს, რომ შუა საუკუნეების მსოფლიოში ოსები ეთნონიმით "ალან" იყვნენ ცნობილნი დასავლეთში, ეთნონიმით "ასი" - აღმოსავლეთში და ეთნონიმით - "ოსი" სამხრეთ კავკასიაში.[7] ოსთა აკადემიური წრეები თავდაჯერებულად ამტკიცებს, რომ კავკასიაში მცხოვრებმა ინდო-ირანელებმა კავკასიელ ტომებთან ათასწლოვანი კონტაქტების შედეგად ბევრი რამ გადაიღეს ადგილობრივი კავკასიური მოსახლეობისგან და ჩამოაყალიბეს თვითმყოფადი მატერიალური და სულიერი კულტურა კავკასიის ცენტრალურ ნაწილში. მათი მოსაზრებით, ძვ. წელთაღრიცხვის II-I ათასწლეულებში ცენტრალური კავკასიონის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებზე ჩამოყალიბდა თვითმყოფადი ყობანის კულტურა, რომლის შემქმნელები და მატარებლები იყვნენ ირანულენოვანი ტომები. ოსი ისტორიკოსების აზრით, ოსი ხალხი არის პირდაპირი მემკვიდრე და გამგრძელებელი ყობანის და თლიას

---

[6] Закиев, Мирфатых. (1995). Татары: проблемы истории и языка. Сборник статей по проблемам лингвоистори;возрождения и развития татарской нации. § 4. - С.38-57.Аланы: кто они? *http://www.balkaria.info/*<http://www.balkaria.info/library/z/zakiev/alans.htm>(2011, February 7)

[7] Бзаров, Руслан (2010, 28 August).О том как Алания присоединилась к России и стала называться Осетией. *Информационное агенство « РЕС».* <http://cominf.org/node/1166484255>(2011, February 7)

კულტურების და შემქმნელია სულიერ-კულტურული და ლინგვისტური ტრადიციებისა.[8]

თათარი ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ სკვითები, სარმატები და ალანები ოსურენოვანი ტომები რომ ყოფილიყვნენ, უამრავ ოსურ ტოპონიმს დატოვებდნენ ევრაზიის კონტინენტზე. თათარი ისტირიკოსები ასკვნიან, რომ ყველა ნიშნით ალანები თურქულენოვანი ტომები იყვნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ თურქული მოდგმის ხალხების ჩამოყალიბებაში; კავკასიაში ბალყარულ-ყარაჩაელი და ყუმუხი ხალხების ეთნოგენეზში.[9]

სერიოზული ისტორიული დავა მიმდინარეობას ოსურ და ბალყარულ-ყარაჩაულ აკადემიურ წრეებს შორის. ბალყარულ-ყარაჩაული აკადემიური წრეები დიდი ეჭვის ქვეშ აყენებენ ეთნონიმ „ასის" (იგივე Ясы-ი) ოსურობას. ბალყარელ-ყარაჩაელი ისტორიკოსის მიზიევის მოსაზრებით, თურქულ ენებზე ტოპონიმი "ას"-ი მომთაბარეობას ნიშნავს და სწორედ ეს ტერმინი გამოიყენეს ძველმა ბერძნებმა ყუბანისპირეთის აღნიშვნისთვის („ასია"). მიზიევის შეხედულებით „ასები" არიან ყორღანული კულტურის მატარებელი ტომები. მიზიევის თეორიის მიხედვით, ტერმინი "ასი" იდენტურია უფრო ძველი ყორღანული კულტურის მატარებელი ხალხების სკვითების და სარმატების სახელწოდებისა. ას-ბულგართა მთავარის ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟი იური გახლდათ სწორედ ქართველთა მეფის თამარის მეუღლე. მიზიევის აზრით, ისტორიული ასები არიან პირდაპირი წინაპრები დღევანდელი თაულუ (ბალყარეთი) და ყარაჩაის ხალხებისა და არანაირი კავშირი არ აქვთ თანა-

---

[8]Гаглойти, Ю.С. Джиоев, М.К. Джусойты, Н.Г. Пухаев К.П. Техов, Б.В Чибиров, Л.А. (1995). *Официальный сайт аппарата Полномочного представителя Президента РЮО по вопросам постконфликтного урегулирования*<http://080808.su/node/53>(2011, February 7)

[9] Закиев, Мирфатых. (1995). Татары: проблемы истории и языка. Сборник статей по проблемам лингвоистори;возрождения и развития татарской нации.)§ 6. Тесное взаимодействие алан с гуннами, хазарами и кыпчаками. *http://www.balkaria.info/*<http://www.balkaria.info/library/z/zakiev/alans.htm>(2011, February 7)

მედროვე ირანულენოვანი ოსების ეთნოგენეზთან. ისტორიკოსი მთელ რიგ უცხოელ და რუსულ წყაროებს ეყრდნობა და ასკვნის, რომ უძველესი ეთნონიმი (ასი) ეკუთვნოდა უძველეს მომთაბარეებს სკვითებს, ბულგარელებსა და ალანებს და ეს ეთნონიმი მარტო თაულუ-ყარაჩაელთა სახელწოდებაში შენარჩუნდა. [10]

ისტორიკოს ალექსეევას აზრით, თანამედროვე ყარაჩაი-ჩერქეზეთის და ყაბარდო ბალყარეთის ალანთა (ასთა, ქართულად ოვსთა) დიდი ნაწილი მონღოლთა მიერ იყო განდევნილი თანამედროვე ჩრდილოეთ ოსეთის მთებში, სადაც თანამედროვე ოსი ხალხის ჩამოყალიბებას ჩაეყარა საფუძველი. თუმცა ამტკიცებს, რომ ტერმინები "ალანია", "ასია", "ალანები", "ასები" (ქართულად ოსები) ყარაჩაის და ბალყარეთის (თაულუს) მოსახლეობის აღმნიშვნელ ტერმინებად შენარჩუნდა.[11]

"ალანური მემკვიდრეობისთვის" კონფლიქტი ოსურ აკადემიურ წრეებს ინგუშურ მხარესთანაც გააჩნია. ისტორიის ინგუშური ვერსიის მიხედვით, ძველი ანტიკური ავტორები ჩრდილოეთ კავსიურ ტომებს (მათ შორის პრეინგუშურ ტომებსაც) სკვითებს და სარმატებს უწოდებდნენ და ახალი წელთაღრიცხვის 1 ათასწლეულში ჩრდილოეთ კავკასიის პრაინგუშურ ტომებზე ვრცელდება ეთნონიმი "ალანი" და ალანთა ენა და კულტურა შენარჩუნდა ინგუშეთის და ჩეჩნეთის მთიან რაიონებში.[12]

ჩვენ ტერმინი „ალანია" კრებსით ტერმინად წარმოდგიდგება, რომელიც მოიცავს როგორც კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე

---

[10] Закиев, Мирфатых. (1995). Татары: проблемы истории и языка. Сборник статей по проблемам лингвоистори;возрождения и развития татарской нации.)§ 6. Тесное взаимодействие алан с гуннами, хазарами и кыпчаками. *http://www.balkaria.info/*<http://www.balkaria.info/library/z/zakiev/alans.htm>(2011, February 7)

[11] Алексеева, Е.П. (1993). "Карачаевцы и балкарцы древний народ Кавказа" стр. 11-12 Москва. *http://real-alania.narod.ru/index.html* <http://real-alania.narod.ru/alanialand/history/A1/1alan.htm>(2011, February 7)

[12]. Кодзоев, Н.Д. История и Культура. История Ингушетии, (краткий очерк). *Администрация Президента Республики Ингушетия* <http://www.ingushetia.ru/culture/index.shtml>(2011, February 7)

მკვიდრ მოსახლეობას, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის ბარის მომთაბარეებსაც.

ტერიტორიული პრეტენზიები საქართველოს მიმართ

”ორი ოსეთის” გაერთიანების იდეამ ოსურ მოსახლეობაში პოპულარობის მრავალი ეტაპი გაიარა. ცხინვალის დე-ფაქტო მთავრობის საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ იდეოლოგიურ თეზისს სწორედ ”ერთიანი ოსეთის” იდეის განხორციელება წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომამდე გაცილებით ადრე, ჩრდილოეთ ოსეთის -ალანიის რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცალსახად იყო დაფიქსირებული ცხინვალის რეგიონის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები.

ჩრდილოეთ ოსეთის კონსტიტუციის მე-16 მუხლი ჩრდილოეთ ოსეთის ურთიერთობას ეხება ე.წ. სამხრეთ ოსეთთან, რომელთანაც ჩრდ. ოსეთი ამყარებს ურთიერთობებს ეთნიკური, ნაციონალური, ისტორიულ-ტერიტორიული ერთობისა და სოციალ-ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაციის საფუძველზე. [13] ეს დებულება პირდაპირ არღვევს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს.

2006 წლის 1 ივნისს ცხინვალის სეპარატისტული მთავრობის ლიდერმა ედუარდ კოკოითმა მიმართა რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს იმ თაობაზე, რომ ცხინვალის რეგიონი არასდროს არ გასულა რუსეთის შემადგენლობიდან და თანამედროვე ჩრდილოეთ ოსეთთან ერთად, ერთიანად შევიდა 1774 წელს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.[14] საინტერესოა, რომ რუსეთის საკონსტიტიციო სასამართლომ არ განიხილა აღნიშნული საკითხი.

---

[13] Конституция РСО-А. (1994). *Парламент Республики Северная Осетия-Алания. официальный сайт* <http://parliament-osetia.ru/index.php?id=728>(2011,February 7)

[14] Кокойты: Южная Осетия всегда была российской территорией. (2006, 1 June). *ООО"Лента.Ру"*<http://lenta.ru/news/2006/06/01/osetia/>(2011, February 7)

2005 წელს ჩრდილოეთ ოსეთის ლიდერმა თეიმურაზ მამსუროვმა და ცხინვალის სეპარატისტთა ლიდერმა ედუარდ კოკოითმა ჩრდილოეთ ოსეთის და ცხინვალის რეგიონის საზოგადოებას შესთავაზეს "ნაციონალური პროექტი - ორი პერსპექტივა ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან". ამ დოკუმენტის საფუძველზე 2006 წლის 20 ოქტომბერს ქ. ცხინვალში ჩრდილოეთ ოსეთის მთავრობის წარმომადგენლობა გაიხსნა. ამ სტრუქტურის მთავარ ფუნქციას წარმოადგენდა ორი რესპუბლიკის უწყებებს, სამინისტროებსა და ორგანიზაციებს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულებების რეალიზაციის ხელშეწყობა. ანალოგიური წარმომადგენლობა ჩამოყალიბდა ქ. ვლადიკავკაზშიც.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგაც არ დაკარგა აქტუალურობა "ორი ოსეთის" გაერთიანების იდეამ. რადიო "თავისუფლების" ოსი კორესპონდენტი ჟანა თარხანოვი დასძენს, რომ ოსებს გაერთიანების რამდენიმე პროექტი გააჩნიათ. ერთი ვარიანტია ერთიანი ალანური სახელმწიფო, რომელიც ჩამოყალიბდება ჩრდილოეთ ოსეთისა და ცხინვალის რეგიონის საზღვრებში და მეორე ვარიანტი - ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შესვლა. კორესპონდენტი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს ინტეგრაციის პროცესი სხვადასხვა დონეზე და ფორმით. მისი განცხადებით, ოსური საზოგადოების უმთავრეს პრობლემას (ჩრდილოეთ ოსეთსა და ცხინვალის რეგიონში) წარმოადგენს დევნილთა და ლტოლვილთა საკითხი.[15]

ჩრდილოეთ ოსეთთან ცხინვალის რეგიონის შეერთების იდეა ოსურ საზოგადოებაში ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში იღებს სათავეს. 1918-20 წლებში ცხინვალის რეგიონში არსებული ვითარება შეფასებულია, როგორც საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო ექსპანსია "სამხრეთ ოსეთის" წინააღმდეგ. ისტორიის ამ პერიოდში, თუ ისტორიულ ოსეთში (ჩრდილოეთ ოსეთში) ოსური

[15] Тарханова, Жанна. (2010, 08 October). Единая Осетия – мечта, далекая от реальности. *Эхо Кавказа* <http://www.ekhokavkaza.com/content/article/2185193.html>(2011, February 7)

პოლიტიკური ელიტა მხარს უჭერდა დენიკინის მთავრობას და მის მიერ ინიცირებულ თერგის რესპუბლიკას, გორის მაზრაში ოსური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ბოლშევიკურ ძალებს ემხრობოდა. ისტორიის ოსური ვერსიის მიხედვით, ოსური ბოლშევიკური მოძრაობა, რომელიც ქართველი ბოლშევიკებისგან იმართებოდა, ოსი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას წარმოადგენდა. ხოლო 1918-1920 წლებში ცხინვალის რეგიონში ბოლშევიკური აჯანყებები ოსი ხალხის განმათავისუფლებელ ომად ცხადდება. 1921 წლის მარტის საბჭოთა ოკუპაცია,"სამხრეთ ოსეთის საქართველოს ოკუპაციისგან" განთავისუფლებად მიიჩნევა. თუმცა ბოლშევიკური ოკუპაციის პერიოდშიც ვერ განხორციელდა ცხინვალის რეგიონის ისტორიულ ოსეთთან (ჩრდილოეთ ოსეთთან) შეერთება.[16]

ოსური პოლიტიკური ელიტა ისტორიული ფაქტების დამახინჯებით ამტკიცებს, რომ მე-15-18 საუკუნეებში ოსეთი (იგულისხმება ისტორიული ოსეთიც და ცხინვალის რეგიონი) პოლიტიკური თვალსაზრისით წარმოადგენდა თავისუფალი თემების კონფედერაციას - თვითმმართველ საზოგადოებებს, რომელთა წინააღმდეგაც აღმოსავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობა სამხედრო ძალას იყენებდა ამ ტერიტორიებზე სამხედრო-პოლიტიკური კონტროლის დამყარების მიზნით. თუმცა "სამხრეთ ოსეთი" აგრძელებდა დამოუკიდებელ არსებობას და 1774 წელს ერთიანი ოსეთი შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. ოსური იმპერიული პროექტის მიხედვით, სწორედ რუსეთისა და საქართველოს მიერ განხორციელდა ოსეთის ორ ნაწილად გაყოფა.[17]

ცხინვალის რეგიონის ჩრდილოეთ ოსეთთან (შესაბამისად რუსეთთან) შეერთების აქტიური მცდელობა იყო საბჭოთა კავშირის

---

[16] Осетия в годы революций и гражданской войны (1917-1921) (2007, 11 March). *Сообщество "За демократию и права народов. "http://www.community-dpr.org/* <http://www.community-dpr.org/about_country/osetia.php>(2011, February 7)

[17] Осетия в годы революций и гражданской войны (1917-1921) (2007, 11 March). *Сообщество "За демократию и права народов. "http://www.community-dpr.org/* <http://www.community-dpr.org/about_country/osetia.php>(2011, February 7)

დაშლის შემდეგაც. ოსური პროექტის მიმდევრები "ორი ოსეთის გაერთიანების თეორიას" აქტიურად იხილავდნენ ნაციონალურ ფორუმებზე, კეთდებოდა საჯარო განცხადებები.

"ორი ოსეთის" გაერთიანების იდეას აქტიურად ემხრობოდა ჩრდილოეთ ოსეთის მეთაური თეიმურაზ მამსუროვი, მისი აზრით დიდი ხნის განმავლობაში "ორი ოსეთი" ცალკე ვერ იარსებებს, რომ ისტორიულად გარდაუვალია ჩრდილოეთ ოსეთისა და ცხინვალის რეგიონის გაერთიანება ერთ სუბიექტად. მამსუროვის აზრით, "დამოუკიდებელი სამხრეთი ოსეთის " გაგებამ უფრო ღრმა მატერიალური შინაარსი უნდა შეიძინოს, რაც მარტო "ორი ოსეთის" გაერთიანებით არის შესაძლებელი.[18]

ანალოგიურ განცხადებებს ჩრდილოეთ ოსეთის მეთაური 2008 წლის აგვისტოს ომამდეც აკეთებდა. ჯერ კიდევ 2006 წლის დეკემბერში, თეიმურაზ მამსუროვი ერთერთ ინტერვიუში აცხადებდა, რომ ვერ ხედავს სხვა პერსპექტივას, გარდა ჩრდილოეთ და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გაერთიანებისა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. მისი თქმით, ჩრდილოელი და ე.წ. სამხრეთელი ოსები გაყოფილები არიან არა პოლიტიკური პრინციპების გამო, მსგავსად კორეისა, არამედ საბჭოთა კავშირში მიღებული უსამართლო გადაწყვეტილებით, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არ გაუქმებულა. მამსუროვის თქმით, 21-ე საუკუნეში გაყოფილი ხალხის არსებობა ცივილიზაციის სირცხვილია. ამ ინტერვიუში მამსუროვი ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას პირველ ნაბიჯად მიიჩნევდა, რომლის გაგრძელება ოსეთის გაერთიანება იქნებოდა. მამსუროვის განცხადებით, ჩრდილოეთ და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მთავრობები აქტიურად თანამშრომლობენ და ერთიან სამთავრობო სხდომებსაც ატარებენ.[19]

---

[18] Глава Северной Осетии: Наше объединение с Южной Осетией неизбежно (2010, 12May) . *Юга- портал Южного региона.* <http://www.yuga.ru/news/188521/>(2011, February 7)

[19] Мамсуров считает неизбежным объединение Северной и Южной Осетий. (2006, 19 December). *Интернет-СМИ "Кавказский Узел"*<*http://www.kavkaz-uzel.ru/articles/105621/*>(2011, February 7)

ანალოგიურია ცხინვალის სეპარატისტული მთავრობის რუსეთში წარმომადგენლის დიმიტრი მედოევის პოზიცია ”ორი ოსეთის გაერთიანების შესახებ”. ის ამბობს, რომ ოსი ხალხი იოსებ სტალინმა გაყო 1921 წელს და სამხრეთელი ოსები თბილისის მხრიდან სერიოზულ ნაციონალურ და კულტურულ ასიმილაციას განიცდიდნენ 70 წლის განმავლობაში. მედოევი საქართველოს ”ოსური ტერიტორიების მცოცავ ანექსიაში” ადანაშაულებს და აღნიშნავს რომ მიღწეული დამოუკიდებლობა ეროვნული ერთიანობისთვის რეალურ საშუალებას აძლევს ოს ხალხს.[20]

რუსი ანალიტიკოსის მაქსიმ იუსინის მოსაზრებით (ეს მოსაზრება 2008 წლის აგვისტოს ომამდე იყო გამოთქმული), აზრით, ”ოსური ბანქო” სერიოზული კოზირია კრემლის ხელში. 2007 წელს რამდენჯერმე გაიჟღერა ვლადიკავკაზში ცხინვალის შეერთების მოთხოვნამ. მისი თქმით, კოსოვოს პრეცენდენტმა ხელები გაუხსნა რუსეთს. თუ ალბანელებს ეძლევათ უფლება გამოეყვნენ სერბეთს, ოსებს რატომ არ აქვთ ანალოგიური უფლება. იუსინის განცხადებით, სააკაშვილის მთავრობა არასდროს დათანხმდებოდა ე.წ. მოლდოვას ვარიანტს, ანუ საქართველოს მხრიდან ნატოზე უარის თქმის სანაცვლოთ, რუსეთი დაეხმარებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში.

იუსინის აზრით, ცხინვალი რეგიონის საქართველოსგან გამოყოფა ტექნიკურად ძალიან რთული იქნებოდა, ვინაიდან ამ რეგიონში მეტად შერეული ქართულ-ოსური მოსახლეობაა და ცალკე სახელმწიფოდ ამ ტერიტორიის გამოყოფისთვის საჭირო იქნება ეთნიკური წმენდის ჩატარება.[21]

---

[20] Дмитрий Медоев: Независимость важнее всего. (2009, 10 March*). «Осетинское радио и телевидение» Информационно-аналитическое издание.* <http://osradio.ru/politika/12759-dmitrijj-medoev-nezavisimost-vazhnee-vsego.html>(2011, February 7)

[21] Юсин, Максим . (2008, 22 May). Объединение двух Осетий: миф или реальность? *Ежедневная общенациональная газета "Известия".*< http://www.izvestia.ru/politic/article3116520/>(2011, February 7)

”ორი ოსეთის გაერთიანების პროექტზე” მსჯელობს რუსი პოლიტოლოგი სერგეი მარკედონოვი. მისი აზრით, ორი ოსეთის გაერთიანება გარდაუვალია. მარკედონოვის თქმით, ოსურ ინგუშურმა კონფლიქტმა პრიგოროდნი რაიონის გარშემო თავისებური კატალიზატორის როლი შეასრულა ოსური ნაციონალიზმის გაღვივებაში. მარკედონოვი დასძენს, რომ 1993-2004 წლებში ”ოსეთის გაერთიანების” იდეა გადადების რეჟიმში იმყოფებოდა. თუმცა 1993 წლის 6 მარტს ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტმა აღიარა ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ხოლო 2006 წელს ედუარდ კოკოითმა მიმართა რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ცხინვალის რეგიონის რუსეთის შემადგენლობაში შესვლის კანონიერების თაობაზე. მარკედონოვის აზრით, რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომი, ლოგიკური ფინალი იყო ”ოსეთის გაერთიანების” საქმეში.

მარკედონოვი აღნიშნავს, რომ ე.წ. სამხრეთი ოსეთი როგორც ოსების ეთნოპოლიტიკური თვითგამორკვევის შედეგი, მთელი რიგი სახელმწიფოებრივი ატრიბუტიკის მიხედვით, ჩამოუვარდება ჩრდილოეთ-ოსეთის რესპუბლიკას და ”კვაზისახელმწიფოს” წარმოადგენს. მარკედონოვის აზრით, ოსურ საზოგადოებაში ”ორი ოსეთის გაერთიანების იდეა” რუსეთის ეგიდით მეტად პრიორიტეტულია.

მარკედონოვი აქტიურად განიხილავს ცხინვალის რეგიონის რუსეთის მიერ ანექსიის შესაძლებლობას. ის ამ საკითხს რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის რაკურსით უდგება და საშიშ ტენდენციად მიიჩნევს. მისი აზრით, კავკასიაში ამ აქტმა შეიძლება რუსეთისთვის ნეგატიური პროცესები გააღვივოს - ჩერქეზთა ეთნოსეპარატიზმი და ერთიანი ჩერქეზეთის შექმნის იდეის აქტუალიზაცია, ლეზგინთა და ხუნძთა საკითხების წამოწევა აზერბაიჯანთან მიმართებით, ჩეჩნეთისა და ინგუშეთის გაერთიანების შესაძლებლობა და სხვა.[22]

---

[22]Маркедонов, Сергей. (2010, 18 May). Состоится ли обьединение двух Осетий? *Центр политических технологий. POLITCOM.RU*<http://www.politcom.ru/10121.html>(2011, February 7)

”ორი ოსეთის გაერთიანების” ორ ვარიანტს განიხილავს ცხინვალის სეპარატისთა ყოფილი ლიდერი ედუარდ კოკოითი. პირველ შემთხვევაში ის გულისხმობს ინტეგრაციას რუსეთის ფედერაციასთან და მის შემადგენლობაში ”ერთიანი ოსეთის” შექმნას, რაც თავისთავად ე.წ. სამხრეთ ოსეთის ფორმალური დამოუკიდებლობის ლიკვიდაციას ნიშნავს. მეორე შემთხვევაში კოკოითი რუსეთთან სამოკავშირეო სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესაძლებლობას მიიჩნევს. კოკოითის აზრით, ოსი ხალხის მთავარი მიზანია ერთიანობა.[23]

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ოსურმა ტერიტორიულმა ექსპანსიამ ახალი მიმართულებები შეიძინა. წამოყენებულ იქნა ახალი ტერიტორიული პრეტენზიები ისტორიული მხარის - ხევის (თანამედროვე სტეფანწმინდის რაიონის) და შიდა ქართლის ბორჯომი-გორის მხარის მიმართ ე.წ. თრიალეთის ოსეთი. ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის ლიდერი კოკოითი პერმანენტულად აკეთებს განცხადებებს სტეფანწმინდის რაიონის ”ოსეთისთვის” დაბრუნების შესახებ. კოკოითი დასძენს, რომ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ ოსი და ქართველი ხალხები მოახერხებენ ამ ტერიტორიული საკითხის მოგვარებას.[24]

უნდა აღინიშნოს, რომ ცხინვალის სეპარატისტული მთავრობის წარმომადგენელთა მხრიდან ტერიტორიული პრეტენზიები შიდა ქართლის ტერიტორიების მიმართ აგვისტოს ომის პერიოდშიც ჟღერდა. საგულისხმოა 2008 წლის 6 აგვისტოს ცხინვალის სეპარატისტთა ე.წ. შინაგან საქმეთა მინისტრის მიხეილ მინძაევის განცხადება, რომელშიც ის იმუქრებოდა, რომ საქართველოს მიერ ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების შემთხვევაში ”სამხრეთი ოსეთი” მას ტერიტორიულ პრეტენზიებს წაუყენებდა. მინძაევი დას-

---

[23] Кокойты заявил о необходимости объединения осетин.(2010, 19 September). *Информационное агентство ОСинформ* .<http://osinform.ru/25124-kokojty-zayavil-o-neobxodimosti-obedineniya-osetin.html>(2011, February 7)

[24] Лалиашвили: Территориальные претензии Кокойты к Грузии продиктованы ФСБ. (2010,4 April). *Росбалт – федеральное информационно-аналитическое агентство* <http://www.rosbalt.ru/2010/04/02/725178.html>(2011, February 7)

ძენდა, რომ ბაკურიანი და ბორჯომი ოსური ტერიტორიებია და საომარი მოქმედებების შემთხვევაში, ცხინვალის მხარე ამ ტერიტორიების ე.წ. სამხრეთი ოსეთისთვის დაბრუნების საკითხს დააყენებდა. [25]

ცხინვალის სეპარატისტებს პრეტენზია აქვთ სტეფანწმინდის (ყოფილი ყაზბეგის) რაიონის მიმართ. ისტორიის ოსური ვერსიის მიხედვით, სტეფანწმინდის რაიონის მკვიდრ მოსახლეობას სწორედ ოსები წარმოადგენენ, რომელმაც რიგი ისტორიული გარემოების გამო დაირქვეს ეთნონიმი "ქართველი". ხევი და ოსეთი ერთ ეკონომიკურ, გეოგრაფიულ და კლიმატურ ზონას წარმოადგენენ.[26] ოსი ისტორიკოსები "დიდ ისტორიულ უსამართლობად" მიიჩნევენ სტეფანწმინდის მიკუთვნებას საქართველოსთვის. ოსი ისტორიკოსის იური გაგლოითის აზრით, სწორედ მეფის რუსეთის მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული რეფორმის შედეგად, ოსეთი ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად გაიყო. გაგლოითის აზრით, მაშინ ოსეთის სამხრეთი ნაწილი - თრუსოს ხეობასა და ნარ-მამისონის ხეობასთან ერთად საქართველოს მიაკუთვნეს.

გაგლოითის აზრით, 1859 წელს ნარ-მამისონის ტერიტორია კვლავ დაუბრუნდა ოსეთს (სამხედრო-ოსური ოკრუგი), ხოლო თრუსოს ხეობა დუშეთის მაზრის შემადგენლობაში დარჩა. გაგლოითი დასძენს, რომ თრუსოს ხეობა წარმოადგენს ოსეთის ცენტრალურ ნაწილს. ისტორიის ოსური ვერსიის მიხედვით, თრუსოს, გუდის და კობის ხეობების მოსახლეობამ რუსეთს შეფიცა ერთგულება და არა საქართველოს და უსამართლოა ამ ტერიტორიის საქართვე-

---

[25] Южная Осетия может предъявить Грузии территориальные претензии. (2008,06 August) . *Росбалт – федеральное информационно-аналитическое агентство* <http://www.rosbalt.ru/2008/08/06/510922.html>(2011, February 7)

[26] Салбиев, Гаирбек.(2010, 25 February). Казбегский район. *iratta.com — история и культура Осетии* <http://iratta.com/stati/8269-kazbegskij-rajon.html>(2011, February 7)

ლოს შემადგენლობაში ყოფნა. ეს მხარეები ოდითგანვე ოსური ტერიტორიები იყო.[27]

ოსური ოფიციალური საინფორმაციო ინტერნეტ რესურსი ”ოსინფორმი” 2008 წლის ოქტომბერში სტეფანწმინდის რაიონის ”სამხრეთ ოსეთისთვის” დაბრუნებაზე პირდაპირ სვამდა საკითხს. ეს ინტერნეტ რესურსი სტეფანწმინდის რაიონს უწოდებს ოდითგანვე ოსურს, სადაც მუდვივად ცხოვრობდა ოსური მოსახლეობა, ოსური ოფიციალური საინფორმაციო რესურსის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, აღნიშნულ ტერიტორიებზე არსებობს მრავალი სარმატულ-ალანური (ოსური) კულტურული თუ არქიტექტურული ძეგლი. აღნიშნული ტერიტორია (ხევი, სტეფანწმინდის რაიონი) ერთიანი ოსეთის შემადგენლობაში მუდმივად შედიოდა და 1774 წელს შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. რესურსი იუწყება, რომ საქართველოს შემადგენლობაში სტეფანწმინდის რაიონი აღმოჩნდა გარკვეული სუბიექტური მიზეზების გამო. ნახსენები არის ი.სტალინის ”წვლილი” საქართველოს ”საზღვრების გაფართოების საქმეში”.

სტატიის ავტორი იუწყება, რომ საქართველომ უკანონოდ დატოვა საბჭოთ სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (სსრკ) და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) და მას არალეგიტიმური საზღვრები გააჩნია. აქედან გამომდინარე მას არანაირი უფლება არა აქვს ”ისტორიულად ოსურ” სტეფანწმინდის რაიონზე. ავტორი დასძენს, რომ რუსეთ-საქართველოს საზღვრის დაკეტვის გამო (ლარსზე) დაზარალდა სტეფანწმინდის ოსური მოსახლეობა, რომელიც საქართველოს ”ნაციონალისტურ”, ”სხვა ერთა მჩაგვრელ” ხელისუფლებასთან პირისპირ აღმოჩნდა.

სტატიის ავტორი შიშობს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სტეფანწმინდის რაიონი საკუთარ სამხედრო-სტრატეგიულ

---

[27]Туаева, Алина. (2007, 8 January). ТРУСОВСКОЕ УЩЕЛЬЕ. Почему оно ЗА границей? *iratta.com — история и культура Осетии* <http://iratta.com/2007/01/08/trusovskoe_ushhele_pochemu_ono_za_granicejj.html>(2011, February 7)

მიზნებში შეიძლება გამოიყენონ. სტატიის ავტორი ცალსახად ამტკიცებს, რომ სტეფანწმინდის ოსური მოსახლეობის ერთადერთი იმედი რუსეთია და რომ რუსეთმა არ უნდა დაკარგოს ეს "ოსური ტერიტორია" მისი გეოპოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგული მნიშვნელობის გამო.[28]

საინტერესოა ის ფაქტი, რომ 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, აქტიურდება გამოცემა "სამეცნიერო შრომებისა" სტეფანწმინდის ისტორიის თაობაზე. უკვე 2008 წლის სექტემბერში გამოიცემა კრებული "მამული", რომლის ავტორები არიან ტოტრაზ კოკაითი და ელბრუს კალაგათი. ამ კრებულის ავტორებს თრუსოს, გუდის და კობის ხეობების 80 ოსურ გვარზე აქვთ მოთხრობილი და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ თრუსოს, კობის და გუდის ხეობები ისტორიულად ოსეთს მიეკუთვნება.[29]

2009 წლის ივლისში მეტად აქტიურდება ორგანიზაცია "დარიალი", რომელიც სტეფანწმინდის რაიონიდან რუსეთში გადასული ოსური მოსახლეობით არის დაკომპლექტებული. 2009 წლის 14 ივლისს, ორგანიზაცია "დარიალის" წარმომადგენლები შეხვედრებს მართავენ ცხინვალის სეპარატისტებთან და სეპარატისტთა ლიდერს ედუარდ კოკოითს ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობის მინიჭებას სთხოვენ თრუსოს, კობისა დს გუდის ხეობების (სტეფანწმინდის რაიონი) ოსური მოსახლეობისთვის.[30]

ორგანიზაცია "დარიალის" ხელმძღვანელის ზაურბეკ სალბიევის განცხადებით, რუსეთი და ე.წ. სამხრეთი ოსეთი ამზადებენ დოკუმენტს ორმაგი მოქალაქეობის შესახებ. სტეფანწმინდის საკითხის გადაწყვეტისთვის, სალბიევის თქმით, მიმართვა გადაეცა ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის იმ-

---

[28] Казбегский вопрос. (2008, 12 October). *ИА ОСинформ* <http://osinform.ru/analitic/9525-kazbegskijj-vopros.html>(2011, February 7)

[29] «Отчизна» об истории осетинской земли. (2008, 10 September). *ИА ОСинформ* .http://osinform.ru/8661-otchizna-ob-istorii-osetinskojj-zemli.html>(2011,February 7)

[30] Эдуард Кокойты встретился с представителями Общественной организации «Дарьял». (2009, 14 July). *официальный сайт Президента Республики Южная Осетия* <http://www.presidentrso.ru/meetings/detail.php?ID=2598>(2011,February 7)

დროინდელ მეთაურს თეიმურაზ მამსურივს, ე.წ სამხრეთ ოსეთის ლიდერს ედუარდ კოკოითს და ოსი ხალხის ყრილობას.

სალბიევის თქმით, სტეფანწმინდის რაიონი საბჭოთა ეპოქაში შეცდომით აღმოჩნდა საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში, მისი აზრით ისტორიული ხევი უნდა დაბრუნდეს ოსეთის შემადგენლობაში.მისივე განცხადებით, სტეფანწმინდის რაიონიდან რუსეთში გადასულ მოსახლეობას არანაირი საშუალება არ ეძლევა დაუბრუნდნენ თავიათ სახლებსა და ინახულონ წინაპართა საფლავები. "დარიალის" ლიდერის აზრით, ამ ორგანიზაციის მთავარი ამოცანაა "1921 წელს ქართველი ბოლშევიკების მიერ ოსეთისგან მიტაცებული ტერიტორიების" ოსეთისთვის დაბრუნება.[31]

ორგანიზაცია "დარიალის" წარმომადგენელთა აზრით, რუსეთ-საქართველოს საზღვრის ლარსის მონაკვეთის გახსნის შემთხვევაში უნდა შენარჩუნდეს უვიზო მიმოსვლა სტეფანწმინდის რაიონის და ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკის საზღვრისპირა მოსახლეობას შორის. საირბეკ სალბიევის შეხედულებით, ვინაიდან სტეფანწმინდის, ჩრდილო ოსეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას შორის არსებობს რეალური ახლო ნათესაური კავშირები, სტეფანწმინდის რაიონის მოსახლეობის მიმართ საქართველოს კანონმდებლობის გამოყენება მიზანშეუწონელია. აქ იგულისხმება საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რომელიც გულისხმობს სისხლის სამართვლებრივ დევნას იმ მოქალაქეებისა, რომლებიც ეწვევიან ოკუპურებულ ტერიტორიებს ამ შემთხვევაში რუხის (როქის) გვირაბის მეშვეობით. სალბიევის განცხადებებით, სტეფანწმინდიდან მიგრირებული ოსი მოსახლეობის სახლების ძარცვის ფაქტებზე უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმეები და დაზარალებულ მოსახლეობას უნდა აუნაზღაურდეს ქონებრივი ზარალი. სალბიევის აზრით, აღნიშნული საზარელი ფაქტები საერთა-

[31] Дарьял" призывает прекратить грабеж осетинских сел в Казбекском районе Грузии. (2009, 23 September). ИА REGNUM <http://www.regnum.ru/news/1208283.html>(2011, February 7)

შორისო სამართალდამცველი ორგანიზაციების მიერ აქტიურად უნდა შუქდებოდეს.

”დარიალის” ლიდერების აზრით, ქართველთა და ოსთა ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ თანაცხოვრების ეტაპი დასრულდა. მათი აზრით, სტეფანწმინდის რაიონი სამეურნეო და ეკონომიკური თვალსაზრისით მიბმულია ჩრდილოეთ ოსეთზე და რაიონის ეკონომიკური ცხოვრება ოსეთის გარეშე შეუძლებელია. ამ ორგანიზაციის აქტივისტების თქმით, ცხოვრების დაბალი დონის გამო, რაიონის მოსახლეობა ტოვებს რაიონს და ოკუპირებული ახალგორის რაიონის გავლით გადადის ჩრდილოეთ ოსეთში, სადაც ღებულობს პენსიებსა და სოციალურ შემწეობებს.

ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის პარლამენტარი სტანისლავ კესაევი კი მიიჩნევს, რომ აღნიშნული კატეგორიის საქართველოს მოქალაქეების საქართველოში დაბრუნება არ არის მიზანშეწონილი. მისი აზრით, არც იმის თქმაა საჭირო, რომ ისინი ქართველები არიან. ისინი ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეები არიან და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების ყველა უფლებებით სარგებლობენ რუსეთის ტერიტორიაზე. სტანისლავ კესაევის აზრით, რაც უფრო მალე დაისმება სტეფანწმინდის რაიონის საკითხი რუსეთსა და საქართველოს შორის მოლაპარაკებებზე, მით უკეთესია.

ჩრდილოეთ ოსეთში ე.წ. სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლის სტანისლავ ჯიოევის აზრით, სტეფანწმინდის რაიონის ოსეთის შემადგენლობაში შესვლა მხოლოდ ცივილიზებული გზით - მოლაპარაკების გზით უნდა მოხდეს.

რუსეთის ელჩი ე.წ. სამხრეთ ოსეთში (2008-2017 წ.წ.) ელბრუს კარგიევი კი აცხადებს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რეგიონში ხდება სამხრეთელი ოსების სისტემატური დევნა ქართველების მხრიდან. რუსი დიპლომატის განცხადებით, სტეფანწმინდის რაიონის მოსახლეობამ მრავალგზის მიმართა რუსეთის პრეზიდენტს მედვედევს, რომ სტეფანწმინდის რაიონის საკითხი ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხის მსგავსად გადაწყდეს. კარგიევის აზრით, საერთაშორისო-სამართლებრივი თვალსაზრისით ამ ტერიტორიის (სტეფანწმინდის რაიონის) ოსეთთან შეერთების გადაწყვე-

ტილების მიღება შეუძლებელია, ვინაიდან არსებობს საერთაშორისო სამართალი და მოსკოვი მის უგულებელყოფას ვერ მოახდენს. აქედან გამომდინარე, რუსი დიპლომატი ჯერ ვერ ხედავს სტეფანწმინდის საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობას.[32]

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკვნელ ხანებში ცხინვალის საოკუპაციო ხელისუფლებამ "ოსური პროექტის" განმტკიცების მიზნით, დაიწყო ქართული ტოპონიმების ოსურით შეცვლა. ცხინვალის რეგიონში ტოპონიმიკის კომისია ყალიბდება, რომლის მიზანია "ისტორიულად ოსური" ტოპონიმების "აღდგენა" ცხინვალის რეგიონში. აღნიშნული კომისიის მუშაობის შედეგად ყორნისის (ზნაურის) რაიონის (1991 წელს მიღებული საქართველოს ადმინსტაციულ-ტერიტორიული მოწყობის მიხედვით - ქარელის რაიონის ჩრდილოეთი სექტორი) სოფელ ვახტანს ეწოდა რაიჯასტი და იგეგმება კიდევ მრავალი ქართული ტოპონიმის ოსურით ჩანაცვლება. კომისიის ერთერთი ხელმძღვანელი კულუმბეკოვი კი აღნიშნავს, რომ კომისია ოს მეცნიერთა გამოკვლევებიდან გამომდინარე იღებს გადაწყვეტილებებს.[33]

ოსური საინფორმაციო სააგენტოს "ოსინფორმის" (2017 წლიდან - „ალანია-ინფორმი“) ინფორმაციით, ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ქართულ მოსახლეობას სკოლებში ქართულ ენის სწავლების კუთხით "სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება" არანაირ დაბრკოლებას არ შეუქმნის. თუმცა ცხინვალის სეპარატისტული ადმინისტარციისთვის მიუღებელია ისტორიის ქართული სახელმძღვანელოების სკოლებში გამოყენება. ცხინვალის რეგიონის სეპარატისტული ხელისუფლების ლიდერის ედუარდ კოკოითის განკარგულებით ოს ისტორიკოსებს დაევალათ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ისტო-

---

[32] Марзоева, Эмма. (2009, 23 December). Организация "Дарьял" в Северной Осетии предлагает присоединить Казбегский район Грузии к Южной Осетии. *Интернет-СМИ "Кавказский узел"* <http://www.kavkaz-uzel.ru/articles/163460/>(2011, February 7)

[33] Населенным пунктам РЮО будут возвращены исконно осетинские названия. (2010, 26 July). *Информационное агентство ОСинформ.*<http://osinform.ru/23706-naselennym-punktam-ryuo-budut-vozvrashheny.html>(2011, February 7)

რიის ქართულენოვანი სახელმძღვანელოს შექმნა, სადაც ისტორიის ოსური ვერსიის მიხედვით იქნება ასახული რუსეთ-საქართველოს და ქართულ- ოსური ურთიერთობები. [34]

საინტერესოა მოძრაობა "ერთიანი ოსეთის" ერთერთი ლიდერის მიხეილ ჩერნოვის ინტერვიუ. ამ ინტერვიუში ჩერნოვი განიხილავს საქართველოსა და რუსეთს შორის შესაძლო შეიარაღებულ კონფლიქტს და ამ კონფლიქტიდან გამომდინარე პოლიტიკურ შედეგებს საქართველოსთვის. ის საქართველოს სრულ დამარცხებასა და დაშლას უწინასწარმეტყველებს და აღნიშნავს, რომ მორიგ ომში დამარცხებული საქართველოს პოლიტიკური და ტერიტორიული გარდაქმნა მოხდება. შეიცვლება საქართველოს პოლიტიკური რუკა და ქართული სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობა იქნება სრულებით განადგურებული. მოძრაობა "ერთიანი ოსეთის" ერთერთი ლიდერი ჩერნოვი აღნიშნავს, რომ საქართველოს მარტო "სამკუთხედი" - თბილისი-ფოთი-ბათუმი შეუნარჩუნდება. ჩერნოვის პროგნოზით, საქართველოსთან მორიგი ომის შემდეგ, რეალური გახდება ჩრდილო-ოსეთის რესპუბლიკაში განსახლებული ოსი ლტოლვილების დაბრუნება სტეფანწმინდის რაიონსა და ე.წ. "თრიალეთის ოსეთში"(ისტორიული შიდა ქართლის სამხრეთი სექტორი).

ჩერნოვის ვარაუდით, სტეფანწმინდასა და ბორჯომ-ბაკურიანში ("თრიალეთის ოსეთი") შესაძლებელი იქნება რეფერენდუმის ჩატარება და ამ ტერიტორიის ოსეთთან მიერთება. მისი მტკიცებით სტეფანწმინდის რაიონში თითქმის ყველა დასახლებული პუნქტის თუ სიმაღლის სახელწოდება ოსურია და მოსახლეობის დიდი ნაწილის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა.

ჩერნოვი შეშფოთებას არ მალავს სტეფანწმინდის რაიონში მყინვარწვერზე ამერიკული სტრატეგიული რადარების მშენებლობის ფაქტის გამო. ჩერნოვის აზრით, რუსეთის და ოსეთის ინტერესი

---

[34] Учебник по истории Южной Осетии выйдет на грузинском языке. (2008, 27 November). *ИА ОСинформ.*<http://osinform.ru/10523-uchebnik-po-istorii-juzhnojj-osetii-vyjjdet-na.html>(2011, February 7)

მარტო სტეფანწმინდის რაიონისა და ე.წ. თრიალეთის ოსეთით არ შემოიფარგლება. მას მიაჩნია, რომ ყველა ოსი დევნილი უნდა დაბრუნდეს საქართველოს რაიონებში და ამ რაიონების ტერიტორიული მიკუთვნების საკითხი ოსი დევნილების რეპატრიაციის შემდეგ უნდა დადგეს დღის წესრიგში. ის ღიად საუბრობს საქართველოს შემდგომი დაშლის თაობაზე და აღნიშნავს, რომ "ოსური საკითხის" გადაწყვეტის კვალობაზე უნდა გადაწყდეს "სომხური საკითხიც" სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ჩერნოვის მოსაზრებით, სამცხე-ჯავახეთში მიმდინარეობს სომხური მოსახლეობის ეროვნული დისკრიმინაცია და ნაძალადევი "ქართველიზაცია". ჩერნოვი აღნიშნავს, რომ სამხრეთი საქართველოს სომხური მოსახლეობა თვითგამორკვევის უფლებით ისევე ისარგებლებს, როგორც ე.წ. თრიალეთის ოსეთის და სტეფანწმინდის რაიონის ოსური მოსახლეობა. ჩერნოვი საქართველოს დაშლის კონტექსტში აჭარის და სამეგრელოს საქართველოსგან გამოყოფაზედაც საუბრობს.

"ერთიანი ოსეთის" ლიდერი დასძენს, რომ "სამხრეთი ოსეთი" დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ურთიერთობა რუსეთთან ომამდე და ომის შემდეგაც არის მტკიცე და მყარი. ის ამბობს, რომ აგვისტოს ომის შემდეგ ე.წ. სამხრეთმა ოსეთმა ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინა, რაც კომუნიკაციის პროცესს ამარტივებს. ჩერნოვის მტკიცებით, რეალურად არსებობს რუსეთის დაშლისა და რუსული სახელმწიფოს განადგურების გეგმები, რომელთაც წინ უნდა აღუდგეს რუსეთი და ამ გეგმებს რუსეთმა მსოფლიოს გაყოფის თავისი პროექტები უნდა დაუპირისპიროს.[35]

ტერიტორიული პრეტენზიების "ისტორიულ-სამართველ-ბრივი" არგუმენტაცია

---

[35]Шмулевич, Авраам. (2009, 19May). Передел границ на Кавказе: российский сценарий Саакашвили уже нечего терять, кроме своей страны. Беседа с Михаилом Черновым, секретарём правления Движения за Единую Осетию. *«Агентство Политических Новостей»* <http://www.apn.ru/publications/article21616.htm>(2011, February 7)

ცხინვალის სეპარატისტული მოძრაობის "ადამონ ნიხასის" ერთერთი ლიდერის ვალერი გაზაევის პოზიცია ქართულ-ოსურ ურთიერთობებთან დაკავშირებით ეფუძნება პრინციპს ქართველთა საქართველოში არაავტოქტონურობის შესახებ. მისი შეხედულებით კავკასიელი ხალხები არიან კავკასიაში აბორიგენები, იბერიული ტომები კი "მოსულები" არიან; სწორედ ტერმინი იბერიულ-კავკასიური მიმანიშნებელია იმისა, რომ იბერები გაცილებით გვიან დასახლდნენ კავკასიაში, ვიდრე კავკასიელები.

გაზაევის თეორიის მიხედვით, ისტორიული ივერებისგან მარტო მეგრელები და სვანები შემორჩნენ, რომლებიც რუსეთის იმპერატორის ეკატერინე მეორის ხელშეწყობით "ქართველებად" (გრუზინებად) დაფიქსირდნენ და შეიყვანეს ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში. გაზაევის თეორიის მიხედვით, მთელი აღმოსავლეთ საქართველო - თბილისის გუბერნია არაქართული მოსახლეობით იყო დასახლებული - ოსებით, სომხებით და აზერბაიჯანელებით.

გაზაევის თანახმად "ოსეთის სამხრეთი ნაწილი" საქართველოს შემადგენლობაში არასდროს შედიოდა, ხოლო სახელმწიფო სახელწოდებით "საქართველო" სადღაც მე-12 საუკუნეში ჩამოყალიბდა. მანამდე კი არსებობდა იბერიის სახელმწიფო, რომელიც მრავალეთნიკური კონგლომერატი იყო, რომლის მმართველ სამეფო დინასტიას ნახევრად ოსი და ნახევრად ებრაელი ბაგრატიონები წარმოადგენდნენ.

თამარ მეფის ეპოქაზე საუბრისას ავტორი ივერიის აღორძინება-აყვავებაში დავით სოსლანის უმნიშვნელოვანესს წვლილზე საუბრობს. ავტორის აზრით, თამარ მეფის სიდიადე ქართველ ისტორიკოსთა შემოქმედების ნაყოფია, რომ საქართველოს ფაქტობრივი მმართველი ოქროს ხანის პერიოდში არა თამარ მეფე, არამედ დავით სოსლანი-ცარაზონი იყო. მისი თქმით, შუა საუკუნეების კავკასიაში არ არსებობდა მეფე-ქალის მმართველობის ტრადიცია და თამარი "პოლიტიკურ-ვირტუალური" დედოფალი იყო.

საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიას გაზაევი თავისებული ინტერპრეტაციით განმარტავს. მისი შეხედულებით, 600

წლის განმავლობაში არსებობდა დამოუკიდებელი იმერთა, სვანთა და მეგრელთა სამთავროები, რომელთა მოსახლეობა განსხვავდებოდა ერთმანეთისგან არამარტო მენტალობით, არამედ კულტურითა და ენით. მისი მოსაზრებით, სვანები, მეგრელები და იმერლები სხვადასხვა ანთროპოლოგიურ ტიპებს მიეკუთვნებიან და სხვადასხვა ერებს წარმოადგენენ.საქართველოს ისტორიის გაზაევისეული ვერსიით, დავით აღმაშენებელმა მოახერხა ამ სხვადასხვა ხალხთა ერთ სახელმწიფოში მოქცევა. თუმცა აღნიშნავს, რომ "ალანიის სამეფოს სამხრეთი ნაწილი" (ასე უწოდებს ის შიდა ქართლის ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილს) ამ ქართული სამეფო-სამთავროების შემადგენლობაში არასდროს შედიოდა.

გაზაევი აღნიშნავს, რომ ქართული სამეფო-სამთავროები ოსმალთა, სპარსთა და არაბთა ხალიფატის შემადგენლობაში შედიოდნენ და იმ პერიოდში ალანიის სამეფო კავკასიაში ერთერთ ძლევამოსილ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომლის თავდასხმებისგან დაცვისათვის დავით აღმაშენებელმა ქართული ტერიტორიები ყივჩაღებით დაასახლა.

გაზაევი დიდ ყურადღებას აქცევს საქართველო-ალანიის საზღვრის დადგენის საკითხს. ის "ისტორიულ" არგუმენდად იშველიებს ყივჩაღთა დასახლების ფაქტს და აღნიშნავს, რომ ყივჩაღები გორის, ქარელის და ხაშურის ტერიტორიაზე იყვნენ დასახლებულნი და რომ ეს ტერიტორია წარმოადგენდა "საზღვარს" ქართლსა და ალანიას შორის. მოძრაობა "ადამონ ნიხასის" ლიდერი აღნიშნავს, რომ ისტორიული საზღვარი ალანიასა და ქართლს შორის 30-40 კილომეტრით სამხრეთით მდებარეობდა თანამედროვე ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთი მიმართულებით. გაზაევი ასკვნის, რომ ალანიის საზღვარი ქართლთან მდებარეობდა ქარელის, ხაშურის და გორის სამხრეთით და არა კავკასიონზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დავით აღმაშენებელი ყივჩაღებს როქსა და კვაისში დაასახლებდა და არა ისტორიული შიდა ქართლის შუაგულში.

გაზაევი იმეორებს სხვა ოსი ისტორიკოსების და პოლიტიკოსების მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ ოსეთი იყო ერთიანი, რო-

დესაც შევიდა რუსეთის შემადგენლობაში. მისი განცხადებით მართლმადიდებელი ოსეთი გაცილებით ადრე შევიდა რუსეთის შემადგენლობაში, ვიდრე ქართული სამეფო-სამთავროები. ჩრდილოეთ კავკასიის ათვისების შემდეგ რუსეთმა ალაგირის მხარე და "სამხრეთი ოსეთი" თბილისის გუბერნიას მიუერთა, შემდეგ კი "სამხრეთ ოსეთი გამოყვეს ჩრდილოეთისგან". მისი განცხადებით "სამხრეთ ოსეთის" შეყვანა საქართველოს სსრ-ს შემადგენლობაში საბჭოთა ტერიტორიული განაწილების პრინციპს ემთხვეოდა და სსრკ-ს დაშლის შემდეგ ოსი ხალხის გადასაწყვეტია "სამხრეთ ოსეთი"-ს მომავალი ბედი.

ცხინვალის რეგიონის სეპარატისტული ელიტის რიტორიკაში ფიგურირებს ოსების "გენოციდის" თემატიკაც. ცხინვალის სეპარატისტული (და რუსული) ისტორიოგრაფია განიხილავს ქართველთა მხრიდან "ოსთა წინააღმდეგ მოწყობილ სამი გენოციდის" ფაქტს. ოსი იდეოლოგების ინტერპრეტაციით ოსი ხალხის პირველი გენოციდი ქართული გვარდიის მიერ განხორციელდა 1918-21 წლებში. მათი აზრით 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი იყო "ქართ-იბერების" პირველი მცდელობა შეექმნათ საკუთარი სახელმწიფო. მათი შეხედულებით იმ პერიოდში საუბარიც კი არ ყოფილა არაქართული მოსახლეობით დასახლებული ტერიტორიების საქართველოს შემადგენლობაში შეყვანაზე. არაქართულ მოსახლეობაში გაზაევი გულისხმობს აფხაზეთს, შიდა ქართლს (კერძოდ ცხინვალის რეგიონს), ჯავახეთსა და ქვემო ქართლს (კერძოდ ბორჩალოს).

გაზაევის მტკიცებით, სწორედ 1918-21 წლებში პირველად საქართველოს ისტორიაში ქვეყანას მონოეთნიკური მთავრობა მართავდა, რომელიც ძალისმიერი მეთოდებით ცდილობდა "ისტორიულად" სომხური, აზერბაიჯანული, აფხაზური და ოსური ტერიტორიების შემოერთებას. ოსური ვერსიით, ყველაზე სისხლიანი მოვლენები ცხინვალის რეგიონში დატრიალდა 1918-21 წლებში, როდესაც ქართულმა გვარდიამ 20 ათასიანი მშვიდობიანი მოსახლეობა ამოწყვიტა და 230 ათასი მოქალაქე კი დევნილად აქცია. ისტორიის ოსური ვერსიის თეორეტიკოსი - ვალერი გაზაევი, ამ მოვ-

ლენებს ოსების პირველ ეთნიკურ წმენდად და გენოციდად აცხადებს.

გაზაევის ინტერპრეტაციით, 1921 წლის 25 თებერვალს გამოცხადებულ საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში არც აფხაზეთი და არც ე.წ. სამხრეთი ოსეთი შედიოდნენ. მისი აზრით საბჭოთა პერიოდში ქართ-იბერთა ეთნოსს პირველად თავის ისტორიაში ჰქონდა ქართული სახელმწიფო და ჰყავდა ქართული მთავრობა.

ისტორიის ოსური ინტერპრეტაციით მხოლოდ 1922 წლის 8 ივნისს "ოსეთის სამხრეთი ნაწილი" შევიდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში, ისიც იოსებ სტალინის პირადი მითითებით. 1989 წლის 10 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაიქმნა, ხოლო 1990 წლის 20 სექტემბერს - დემოკრატიულ რესპუბლიკად. სწორედ ამ არგუმენტაციით ვალერი გაზაევი ამტკიცებს ე.წ. სამხრეთ ოსეთის "დამოუკიდებლობის" ლეგიტიმურობას. გაზაევის ინტერპრეტაციით 1988 წლის შემოდგომაზე თბილისში მრავალათასიანი მიტინგები იმართებოდა საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოსვლისა და ჩრდილო-ატლანტიკური სამხედრო ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო) შესვლასთან დაკავშირებით. მომიტინგეები ითხოვდნენ ავტონომიების გაუქმებასა და ქართული ენის სახლმწიფო ენად შემოღებას აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ქართულ ენას არ ფლობდა. ვალერი გაზაევი ასკვნის რომ უკვე 1989 წლის გაზაფხულზე ე. წ. სამხრეთ ოსეთისთვის სრულებით მიუღებელი ქართული ელიტა ჩამოყალიბდა.

გაზაევი შემდეგ ბრალდებებს უყენებს ქართულ პოლიტიკურ ელიტას - 1/.ლოზუნგები "საქართველო ქართველებისთვის", "საქართველოს უპირველეს ყოვლისა"; 2/.მოთხოვნები ცხინვალის რეგიონის ოსური მოსახლეობის დეპორტაციის შესახებ ისტორიულ ოსეთში (ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკა); 3/.ქართულ პრესაში ოსების არამკვიდრ მოსახლეობად, სტუმრებად მოხსენიება; 4/.ეთნიკურად არაქართული მოსახლეობის შობადობის შეზღუდვა სახელმწიფოებრივ დონეზე და ქართული მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური წახალისება; 5/.ქართული ენის ძალადობრივი შემოღე-

ბა სახელმწიფო ენის სტატუსის გათვალისწინებით; 6/.ტერმინ "სამხრეთ ოსეთის" ამოღება ქართული პოლიტიკური ლექსიკონიდან და ტერმინების "შიდა ქართლი" და "სამაჩაბლო" დამკვიდრება; 7/. ოსი ეროვნების მოქალაქეების მასობრივი დათხოვნა სახლემწიფო და ძალოვანი სტრუქტურებიდან; 8/.ოსი ეროვნების მოქალაქეების შევიწროება (საკუთრების უფლების ხელყოფის ჩათვლით).

გაზაევი დასძენს, რომ ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზე არცერთი ქართული ტოპონიმი არ არსებობს და ტერმინი "სამხრეთ ოსეთი" სრულებით სამართლიანი და ისტორიულია ამ რეგიონისთვის, ხოლო ოსური მხარის მთავარი მოთხოვნები იყო მხოლოდ რუსული ენის შენარჩუნება "სამხრეთ ოსეთში" და ქართულ პრესაში ანტიოსური პუბლიკაციების შეწყვეტა. გაზაევის აზრით, ცხინვალის რეგიონისთვის სტატუსის ამაღლებისა (ავტონომიური ოლქის ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნის მოთხოვნა) და ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთების მოთხოვნები შემოდგომაზე იყო წამოყენებული.

1990-92 წლებზე საუბრისას გაზაევი ქართველთა მიერ ასობით დახოცილ ოსზე საუბრობს და საქართვეკის ოსი ხალხის წინააღმდეგ "მეორე გენოციდში" ადანაშაულებს. ოსური აკადემიური და პოლიტიკური წრეები ქართველების მიერ "ოსი ხალხის მესამე გენოციდს" უკავშირებს საქართველოში დატრიალებულ "ვარდების რევოლუციას" და ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის მოსვლას. ფრიად საინტერესოა ის ფაქტი რომ ოსურ საინფორმაციო ქსელში ხშირად ვრცელდება ინფორმაცია "ქართველთა მიერ ოსების 14 პერმანენტულ გენოციდზე". ამ ინფორმაციის მიხერვით მე-14 საუკუნიდან ქართველები სამხრეთელ ოსებს ავიწროებდნენ და ქართველთა მიერ ოსური მოსახლეობის გენოციდი პირველად სწორედ მე-14 საუკუნეში განხორციელდა.[36]

---

[36] Будаты, Бадила. (2011, 23 January). 14 ПЕРМАНЕНТНЫХ ГЕНОЦИДОВ ЮЖНЫХ ОСЕТИН ГРУЗИЕЙ. . *Информационное агентство Осинформ* <http://osinform.net/27388-permanentnyy-genocid-yuzhnyh-osetin-gruziey.html>(2011, February 7)

ვარდების რევოლუციის პოლიტიკური შეფასებისას ოსური აკადემიური წრეების აზრი ზუსტად ემთხვევა რუსული პოლიტიკური ელიტის შეფასებებს. "ვარდების რევოლუცია" ფასდება როგორც აშშ-ს გეოპოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური კონტროლის სრული დამყარება საქართველოზე.

რუსეთ-აშშ-ს გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაზე საუბრისას ვალერი გაზაევი ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის უმნიშვნელოვანესს როლზედაც საუბრობს. მისი მოსაზრებით, აშშ დაინტერესებულია იმ ტერიტორიების გაკონტროლებით, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრებიან რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიას - იგულისხმება ცხინვალის რეგიონი და სტეფანწმინდის (ყოფილი ყაზბეგის) რაიონი. ვალერი გაზაევის მოსაზრებით, აშშ-ს სტრატეგიულ ინტერესებში შედის ჯავის რაიონის, ტრანსკავკასიური მაგისტრალისა და რუხის (როქის) გვირაბის გაკონტროლება. ამ ამერიკული გეგმის განხორციელების ხელისშემშლელ მიზეზად კი ოსი პოლიტიკოსი - ქართველების და ამერიკელების მიმართ ანტაგონისტურად განწყობილ ცხინვალის რეგიონის ოსურ მოსახლეობას მიიჩნევს. გაზაევი დასძენს, რომ 2004 წლის ზაფხულში ცხინვალის რეგიონში წამოწყებული მოვლენებიც საქართველოს ხელისუფლების მიერ იყო პროვოცირებული ოსი ხალხის განადგურების მიზნით. მისი მოსაზრებით, საქართველოს ხელისუფლებამ 2004 წლიდან სკრუპულოზურად დაიწყო მუშაობა "ოსთა საკითხის საბოლოოდ მოგვარების" მიმართულებით.

გაზაევის აზრით, საქართველოს სპეცსამსახურების მიერ ფარულად იყო წარმოებული საქართველოში მაცხოვრებელი ოსური მოსახლეობის აღწერა და ოსური მოსახლეობას აიძულებდნენ საქართველოს მთავრობასთან ეთანამშრომლათ "სამხრეთ ოსეთის" და რუსეთის მთავრობების წინააღმდეგ. გაზაევი ირწმუნება, რომ საქართველოს მთავრობა ცხინვალის რეგიონში სამხედრო ოპერაციის ჩატარებას გეგმავდა ჯერ კიდევ 2006-2007 წლებში. სწორედ, "ოსების მესამე გენოციდი" ვალერი გაზაევის აზრით განხორციელდა მი-

ხეილ სააკაშვილის მმართველობის პირობებში 2008 წლის აგვისტოს ომის დროს.[37]

დასკვნა

ოსური ნაციონალური პროექტი თავისთავად დესტრუქციული ხასიათისაა. მისი მიზანია რუსეთის ეგიდით შეიქმნას "დიდი ოსეთი", ძირითადად მეზობელი ხალხების ტერიტორიების ხარჯზე. პროექტის რეალიზაცია გულისხმობს საქართველოსგან ტერიტორიების - სტეფანწმინდის რაიონის და შიდა ქართლის როგორც ჩრდილოეთი ნაწილის - ცხინვალის რეგიონის, ისე სამხრეთი ნაწილის (ხაშური, ბორჯომი, ბაკურიანი, გორის სამხრეთი) ჩამოცილებას და ფაქტობრივად რუსეთის საოკუპაციო ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ მოქცევას.

"ოსური ნაციონალური პროექტი" აგრეთვე ვერანაირად ჯდება სხვა კავკასიელი ხალხების ეროვნულ კონცეფციებში და სერიოზული საფრთხის მატარებელია როგორც ქართული სახელმწიფოსთვის, ისე ოსურ-ინგუშური და ოსურ-ყარაჩაულ-ბალყარულ ურთიერთობებისთვის. მეზობელ ხალხებთან ისტორიული და ტერიტორიული დავების მოუგვარებლობა რეგიონში ოსების გარკვეულ იზოლაციასა და მარგინალიზაციას განაპირობებს, რაც ძალიან საშიშია ოსი ერის უსაფრთხოების კონტექსტში.

ოსური გეოპოლიტიკური იდეის რეალიზაცია პირველ რიგში ოს ხალხს დააზარალებს, ვინაიდან რუსულ გეოპოლიტიკურ თამაშებში შიდა ქართლის მცირერიცხოვანი ოსური მოსახლეობა საქართველოზე ზეგავლენის ინსტრუმენტად იქცევა და შეიძლება ეთნიკური დაპირისპირების მსხვერპლი გახდეს.

ოსური გეოპოლიტიკური პროექტის რეალიზაციის ერთ-ერთ უკანასკნელ გამოვლინებად გვესახება 2017 წლის აპრილში ოკუპ-

---

[37] Газзаев, Валерий Енверович. (2010, 31 January). ОСЕТИЯ - ГРУЗИЯ: история взаимоотношений и причины конфликта (начало). *Iriston.com - история и культура Осетии.* <http://www.iriston.com/nogbon/news.php?newsid=405>(2011, February 7)

ირებულ ტერიტორიაზე ჩატარებული პლებისციტი რეგიონისთვის „ალანიის სახელმწიფოდ“ გადარქმევის შესახებ. ნიშანდობრივია, რომ ეს ღონისძიება 9 აპრილს ჩატარდა, ამით ცხინვალის პოლიტიკური ელიტა საზოგადოების თვალში ორი იდეის თავისუბურ შეპირისპირებებას ახდენს - ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს დაამთხვიეს ე.წ. ალანიის სახელმწიფოს აღორძინების იდეა.[38]

მიზანშეწონილია დასავლელ პარტნიორებთან უფრო აქტიური თანამშრომლობა საქართველოს უსაფრთხოების საკითხებში. საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სამხედრო ორგანიზაციაში (NATO) გაწევრიანება მნიშვნელოვნად შეამცირებს რუსეთის მიერ ქართული ტერიტორიების მორიგი ოკუპაციის შესაძლებლობას.

საქართველოს ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება უფრო რეალურსა და პერსპექტიულს გახდის საქართველოს მხრიდან ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისთვის, მათ შორის ოსებისთვის მისაღები პროდუქტიული პოლიტიკური (გეოპოლიტიკური) პროექტების შემუშავებას, მათთვის შეთავაზებასა და ცხოვრებაში გატარებას.

დღის წესრიგში დგება ოსების მიერ უფრო ჰარმონიული, კონსტრუქციული ნაციონალური პროექტის ჩამოყალიბების საკითხი. რომელიც არ იქნება ნაკარნახევი რუსული გეოპოლიტიკური ინტერესებით კავკასიაში და გარკვეული ბალანსის მატარებელი იქნება. ახალმა ოსურმა პროექტმა უნდა უზრუნველყოს პირველ რიგში საქართველოში მცხოვრები ოსების ღირსეული ინტეგრაცია ქართულ გეოპოლიტიკურ და სამართლებრივ სივრცეში და მეორე, ხელი შეუწყობს ოსი ხალხის არა იზოლაციას სხვა კავაკსიელი ხალხებისგან, არამედ ოსების ღირსეულ, დინამიურ ინტეგრაციას ზოგად კავკასიურ სივრცეში.

---

[38] Южная Осетия стала Государством Алания (2017, 10 April) https://eadaily.com/ru/news/2017/04/10/yuzhnaya-osetiya-stala-gosudarstvom-alaniya (2017, 17 September)

გამოყენებული ლიტერატურა

1. Блиев, М.М. Бзаров, Р.С. (2006). История Осетии § 5. Скифы и Кавказ . *http://iratta.com/*.<http://iratta.com/2007/04/08/_5_skify_i_kavkaz.html> (2011, February 7)
2. Мизиев, И. (2004). История карачаево-балкарского народа с древнейших времен до присоединения к России. Глава 6. Аланы и Асы-предки балкарцев и карачаевцев. *Старые донские дороги Евграфа Савельева*. <http://passion-don.org/kazak/miziev-6.html>(2011, February 7)
3. Тимерханов, Юсуп.Когда "мифы" становятся реальностью. *http://www.ingush.ru/index.asp* <http://www.ingush.ru/his7.asp>(2011, February 7)
4. Закиев, Мирфатых. (1995). Татары: проблемы истории и языка. Сборник статей по проблемам лингвоистори;возрождения и развития татарской нации. § 4. - С.38-57.Аланы: кто они? *http://www.balkaria.info/*<http://www.balkaria.info/library/z/zakiev/alans.htm>(2011, February 7)
5. Бзаров, Руслан (2010, 28 August).О том как Алания присоединилась к России и стала называться Осетией. *Информационное агенство « РЕС».* <http://cominf.org/node/1166484255>(2011, February 7)
6. Гаглойти, Ю.С. Джиоев, М.К. Джусойты, Н.Г. Пухаев К.П. Техов, Б.В Чибиров, Л.А. (1995). Вопрос взаимоотношений грузинского и осетинского народов сегодня очень актуален,для того, чтобы разобраться в нем необходимо знать исторические процессы становления государственности Южной Осетии. Аналитика. *Официальный сайт аппарата Полномочного представителя Президента РЮО по вопросам постконфликтного урегулирования*<http://080808.su/node/53>(2011, February 7)

7. Закиев, Мирфатых. (1995). Татары: проблемы истории и языка. Сборник статей по проблемам лингвоистори;возрождения и развития татарской нации.)§ 6. Тесное взаимодействие алан с гуннами, хазарами и кыпчаками. *http://www.balkaria.info/*<http://www.balkaria.info/library/z/zakiev/alans.htm>(2011, February 7)
8. Алексеева, Е.П. (1993). "Карачаевцы и балкарцы древний народ Кавказа" стр. 11-12 Москва. *http://real-alania.narod.ru/index.html* <http://real-alania.narod.ru/alanialand/history/A1/1alan.htm>(2011, February 7)
9. Кодзоев, Н.Д. История и Культура. История Ингушетии, (краткий очерк). *Администрация Президента Республики Ингушетия* <http://www.ingushetia.ru/culture/index.shtml>(2011, February 7)
10. Конституция РСО-А. (1994). *Парламент Республики Северная Осетия-Алания. официальный сайт* <http://parliament-osetia.ru/index.php?id=728>(2011, February 7)
11. Кокойты: Южная Осетия всегда была российской территорией. (2006, 1 June). *ООО"Лента.Ру"*<http://lenta.ru/news/2006/06/01/osetia/>(2011, February 7)
12. Тарханова, Жанна. (2010, 08 October). Единая Осетия – мечта, далекая от реальности. *Эхо Кавказа* <http://www.ekhokavkaza.com/content/article/2185193.html>(2011, February 7)
13. Осетия в годы революций и гражданской войны (1917-1921) (2007, 11 March). *Сообщество "За демократию и права народов. "http://www.community-dpr.org/* <http://www.community-dpr.org/about_country/osetia.php>(2011, February 7)

14. Глава Северной Осетии: Наше объединение с Южной Осетией неизбежно (2010, 12May) . *Юга- портал Южного региона.* <http://www.yuga.ru/news/188521/>(2011, February 7)
15. Мамсуров считает неизбежным объединение Северной и Южной Осетий. (2006, 19 December). *Интернет-СМИ "Кавказский Узел"<http://www.kavkaz-uzel.ru/articles/105621/>*(2011, February 7)
16. Дмитрий Медоев: Независимость важнее всего. (2009, 10 March*). «Осетинское радио и телевидение» Информационно-аналитическое издание.* <http://osradio.ru/politika/12759-dmitrijj-medoev-nezavisimost-vazhnee-vsego.html>(2011, February 7)
17. Юсин, Максим . (2008, 22 May). Объединение двух Осетий: миф или реальность? *Ежедневная общенациональная газета "Известия".*< http://www.izvestia.ru/politic/article3116520/>(2011, February 7)
18. Маркедонов, Сергей. (2010, 18 May). Состоится ли обьединение двух Осетий? *Центр политических технологий. POLITCOM.RU*<http://www.politcom.ru/10121.html>(2011, February 7)
19. Кокойты заявил о необходимости объединения осетин.(2010, 19 September). *Информационное агентство ОСинформ* .<http://osinform.ru/25124-kokojty-zayavil-o-neobxodimosti-obedineniya-osetin.html>(2011, February 7)
20. Лалиашвили: Территориальные претензии Кокойты к Грузии продиктованы ФСБ. (2010,4 April). *Росбалт – федеральное информационно-аналитическое агентство* <http://www.rosbalt.ru/2010/04/02/725178.html>(2011, February 7)
21. Южная Осетия может предъявить Грузии территориальные претензии. (2008,06 August) . *Росбалт – федеральное информационно-аналитическое агентство*

<http://www.rosbalt.ru/2008/08/06/510922.html>(2011, February 7)

22. Салбиев, Гаирбек.(2010, 25 February). Казбегский район. *iratta.com — история и культура Осетии* http://iratta.com/stati/8269-kazbegskij-rajon.html>(2011,February 7)
23. Туаева, Алина. (2007, 8 January). ТРУСОВСКОЕ УЩЕЛЬЕ. Почему оно ЗА границей? *iratta.com — история и культура Осетии* <http://iratta.com/2007/01/08/trusovskoe_ushhele_pochemu_ono_za_granicejj.html>(2011, February 7)
24. Казбегский вопрос. (2008, 12 October). *ИА ОСинформ* <http://osinform.ru/analitic/9525-kazbegskijj-vopros.html>(2011, February 7)
25. «Отчизна» об истории осетинской земли. (2008, 10 September). *ИА ОСинформ* .<http://osinform.ru/8661-otchizna-ob-istorii-osetinskojj-zemli.html>(2011, February 7)
26. Эдуард Кокойты встретился с представителями Общественной организации «Дарьял». (2009, 14 July). ***официальный сайт Президента Республики Южная Осетия*** **<http://www.presidentrso.ru/meetings/detail.php?ID=2598>**(2011 , February 7
27. Дарьял" призывает прекратить грабеж осетинских сел в Казбекском районе Грузии. (2009, 23 September). ИА REGNUM <http://www.regnum.ru/news/1208283.html>(2011, February 7)
28. **Марзоева, Эмма. (2009, 23 December).** Организация "Дарьял" в Северной Осетии предлагает присоединить Казбегский район Грузии к Южной Осетии. *Интернет-СМИ "Кавказский узел"* <http://www.kavkazuzel.ru/articles/163460/>(2011, February 7)
29. Населенным пунктам РЮО будут возвращены исконно осетинские названия. (2010, 26 July). *Информационное агентство ОСинформ.*<http://osinform.ru/23706-naselennym-punktam-ryuo-budut-vozvrashheny.html>(2011, February 7)

30. Учебник по истории Южной Осетии выйдет на грузинском языке. (2008, 27 November). *ИА ОСинформ.*<http://osinform.ru/10523-uchebnik-po-istorii-juzhnojj-osetii-vyjjdet-na.html>(2011, February 7)

31. Шмулевич, Авраам. (2009, 19May). Передел границ на Кавказе: российский сценарий Саакашвили уже нечего терять, кроме своей страны. Беседа с Михаилом Черновым, секретарём правления Движения за Единую Осетию. *«Агентство Политических Новостей»* http://www.apn.ru/publications/article21616.htm>(2011,February7)

32. Кулумбегов, Роберт. (2011, 31 January). Аланская епархия – символ государственности Южной Осетии. Рубрика: Неканоническая православная епархия в Республике Южная Осетия-Алания, *"Анти-Раскол" информационно-справочный портал по расколоведению.* <http://www.anti-raskol.ru/pages/1348>(2011, February 7)

33. Кузнецова В.А, (2002) "Христианство на Северном Кавказе до XV в, Глава I Часть 11, Структура Аланской Епархии. *" Издательство "ИР"* <http://www.alanica.ru/hram/str_ep.htm>(2011, February 7)

34. Кулумбегов, Роберт. (2011, 31 January). Аланская епархия – символ государственности Южной Осетии. Рубрика: Неканоническая православная епархия в Республике Южная Осетия-Алания, *"Анти-Раскол" информационно-справочный портал по расколоведению.* <http://www.anti-raskol.ru/pages/1348>(2011, February 7)

35. Кулумбегов, Роберт . (2011, 26 January). Аланская епархия – символ государственности Южной Осетии. *Информационное агентство Осинформ*<http://www.osinform.ru/27471-alanskaya-eparhiya-simvol-gosudarstvennosti-yuzhnoy-osetii.html>(2011, February 7)

36. Аланская Епархия - символ государственности Южной Осетии. (2011, 27 January). ИА "Рес". Юго-осетинская газета

"Республика".<http://cominf.org/node/1166485936>(2011, February 7)

37. Газзаев, Валерий Енверович. (2010, 31 January). ОСЕТИЯ - ГРУЗИЯ: история взаимоотношений и причины конфликта (начало). *Iriston.com - история и культура Осетии.* <http://www.iriston.com/nogbon/news.php?newsid=405>(2011, February 7)
38. Будаты, Бадила. (2011, 23 January). 14 ПЕРМАНЕНТНЫХ ГЕНОЦИДОВ ЮЖНЫХ ОСЕТИН ГРУЗИЕЙ. . *Информационное агентство Осинформ* <http://osinform.net/27388-permanentnyy-genocid-yuzhnyh-osetin-gruziey.html>(2011, February 7)
39. К вопросу об осетинской национальной идее. *Парламент Республики Северная Осетия-Алания официальный сайт. Аналитический центр Республиканского общественного движения «Согласие и стабильность»*,< http://parliament-osetia.ru/index.php?id=639>(2011, February 7)
40. Учебник по истории Южной Осетии выйдет на грузинском языке. (2008, 27 November). *ИА ОСинформ*, <http://osinform.ru/10523-uchebnik-po-istorii-juzhnojj-osetii-vyjjdet-na.html>(2011, February 7)
41. Белянина, Яна. (2009. 22 October). Южная Осетия: независимость под крылом двухглавого орла. *"Информационно-аналитический портал "ГЕОПОЛИТИКА"*<http://geopolitica.ru/Articles/781/>(2011, February 7)
42. Осетия для осетин, остальные – диаспора: скандальная книга о коренном населении Осетии. (2010, 10 December). *Информационное новостное агентство Северо-Кавказского Федерального Округа и Адыгеи.*< http://skfonews.ru/comments/16>(2011, February 7)
43. Кочиев, А. (2010, 26 November). Переви в ракурсе новой национальной идеи. Юго-осетинская газета «Республика». Информационное агентство Осинформ.

<http://www.osinform.ru/26473-perevi-v-rakurse-novoy-nacionalnoy-idei.html>(2011, February 7)

44. Дмитрий Медоев: Независимость важнее всего. (2009, 10 March). *«Осетинское радио и телевидение». Информационно-аналитическое издание.*<http://osradio.ru/politika/12759-dmitrijj-medoev-nezavisimost-vazhnee-vsego.html>(2011, February 7)

45. Геополитика Алании.Прошлое как залог взаимопонимания в настоящем . (2009, October). *Евразийский Союз Молодёжи* <http://rossia3.ru/politics/russia/alaniageopolit>(2011, February 7)

46. [46] Дёрин, Сергей. (2008, 10 September). Приоритеты политики России на Кавказе после войны в Южной Осетии, "Информационно-аналитический портал "ГЕОПОЛИТИКА"<http://www.geopolitica.ru/Articles/326/>(2011, February 7)

47. Коровин, Валерий. (2009, 19 October).СНГ в геополитическом контрнаступлении. *Информационно-аналитический портал "ЕВРАЗИЯ.org"* <http://osetia.evrazia.org/article/80>(2011, February 7)

48. Пухаев, Алексей . (2010, 22 December). ПРИЗНАНИЕ ЮЖНОЙ ОСЕТИИ: Необходимы экономические предпосылки. *Сайт WIN.RU*<http://win.ru/school/6136.phtml>(2011, February 7)

49. Северная Осетия предлагает провести съезд народов Кавказа. (2011, 29 January). *Информационное агентство ОСинформ* <http://osinform.ru/27528-severnaya-osetiya-predlagaet-provesti-sezd-narodov-kavkaza.html>(2011, February 7)

Solomon Lebanidze

The imperial version of Ossetian national project

Anotation

Every nation percepts his past, present and future, the aspiration of the future of the nation determines the national idea, the implementation of the national idea is by the national project.

Today's Ossetian national project, with its anti- Georgian essence, in reality is the part of Great Russian imperial project.

The most provocative manifestation of implementation of the Ossetian separatist project is period after august 2008 war - 2009-2012, when the Ossetian separatist leaders, after breaking off Tskhinvali region and Akhalgori municipality from the Georgian state, Ossetian political and academic elite, started debates the annexation of other Georgian territories for the "South Ossetia".

Regarding the historical component of the Ossetian national project, Ossetians are aborigines of the Caucasus and direct descendents of nomadic tribes of Alans, Scythians and Sarmats .

The interpretation of the history of Ossetian people is fundamentally unacceptable for the national projects of the neighbor nations – Karachai-Balkarians and Ingush.

The issue regarding the unification of so-called two Ossetias is actually discussed in political discourse of the North Ossetia-Alania and Tskhinvali region. The Ossetian and Russian politicians and experts consider the unification of the "two Ossetia" into one entity as irreversible process. The last implication of this process is so-called referendum, which was arranged on April of 2017 in Tskhinvali region. The issue of this so-called referendum was addition of name "State Alania" for so-called "South Ossetia".

The production of the new national project for the Ossetian nation is on the agenda, which will harmonically exist with Georgian state and national projects of neighbor nations.

Key words: Ossetian project; Shida Kartli; Tskhinvali region; Georgian-Ossetian conflict; Russia